



განყოფილება: ეკონომიკა

დოკუმენტის დასახელება: თბილისში გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს პრეზენტაცია

შექმნის თარიღი: 05.04.2006 18:55

გვერდის მისამართი: http://www.newsgeorgia.ge/news.html?nws_id=526212

თბილისში გაიმართა ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს პრეზენტაცია

თბილისი, 5 აპრილი. /" კორ."ახალი ამბები - საქართველო"/. თბილისში, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ბიზნეს საბჭოს (EUGBC) პრეზენტაცია.

EUGBC არაკომერციული ორგანიზაციაა და მისი მთავარი მიზნებია:

- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის განვითარებისა და ინვესტირების ხელშეწყობა;
- საბჭოს წევრებისთვის საქართველოსა და ევროკავშირში ბიზნესის წარმოებაში დახმარების აღმოჩენა;
- EUGBC-ის წევრების ბიზნესის რეკლამირება და დაცვა;
- საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებს შორის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის კავშირების დამყარების ხელშეწყობა.

EUGBC-ის დამფუძნებლები არიან კომპანიები:

- BP Exploration (Caspian Sea) Limited Georgia,
- BP Capital V.O.F,
- Georgian Glass & Mineral Water Co. NV,
- STATOIL Coordination Centre NV,
- CANARGO Standard Oil Products Limited.

EUGBC-ის გენერალური მდივანია ქართველი დიპლომატი კოტე ზალდასტანიშვილი.

საქართველო-ევროკავშირის ბიზნეს საბჭო ბრიტანული ნავთობკომპანია BP-ის ინიციატივითა და მისივე ფინანსური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა. BP-მ პროექტის განსახორციელებლად 300 ათასი დოლარის ოდენობის გრანტი გამოყო.

როგორც პრეზენტაციაზე კომპანია BP-Georgia-ს საგარეო ურთიერთობათა მენეჯერმა დევიდ გლენდინგმა განაცხადა, საქართველოს ჩართვა "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" პროგრამაში საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. შესაბამისად, საქართველოს მთავრობისა და ბიზნესმენების დასახმარებლად BP-ი პროექტ EUGBC-ის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

BP-მ და მისმა პარტნიორებმა BTC-მ და SCP-მ საქართველოში სოციალური ინვესტიციების პროგრამის ფარგლებში თანხები გამოყვეს. პროგრამის ღირებულება ახლო მომავალში 100 მლნ დოლარს მიაღწევს.

რია "ნოვოსტი" - ახალი ამბები - საქართველო © 2002-2007.
მასალების გამოყენებისას სააგენტოს მითითება აუცილებელია.